მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №10(120) 2016 წ. 16-31 მაისი ფასი 50 თეთრი

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა!

26 მაისს საქართველო დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს. ეს ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღესასწაულია, რომელიც 1918 წლიდან იღებს სათავეს. 1917 წელს რუსეთში მომხდარ ბურჟუაზიულ რევოლუციას მონარქიის დამხობა და რუსეთის იმპერიის დაშლა მოჰყვა. საქართველოში ამ პერიოდში შეიქმნა ეროვნული საბჭო, რომელიც ფაქტიურად ქვეყანას მართავდა. ეროვნული საბჭოს დადგენილებით 1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. რესპუბლიკის თავმჯდომარედ ნოე ჟორდანია აირჩიეს. იმავე დღეს იქნა მიღებული „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი“, რომელშიც ნათქვამი იყო: „მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო. XVIII საუკუნის დასასრულს ყოველი მხრიდან მტრისგან შევიწროვებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო მტრისგან დაეცვა. რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულად დაიშალა და რუსულმა ჯარმაც დატოვა ამიერკავკასია. დარჩნენ რა თავისი ძალ-დონის ამარად, და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერისი ორგანოებიც შექმნეს, მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და ამით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა. ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრიობა შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს. ამისდა თანახმად, საქართველოს ეროვნული საბჭო 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

6) დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლებით და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომლის დამოუკიდებლობა ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა ცნეს, არსებობის არასრული სამი წლის თავზე, საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შემდგომ შეწყვიტა.

საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენა 70 წლის შემდეგ – 1991 წლის 9 აპრილს შეძლო.

სტიქია-2016

როცა სამომავლო მოსავალზე ფიქრობ

სეტყვამ უკვე სამჯერ გადაუარა ჩვენი მუნიციპალიტეტის და არა მარტო ჩვენი მუნიციპალიტეტის ზვრებსა და ყანებს, საკარმიდამო ნაკვეთებს. 30 აპრილს მოსული სეტყვა თითქოს უმნიშვნელო აღმოჩნდა, მაგრამ 15 მაისს ხანგრძლივმა და დიდი რაოდენობით მოსულმა – უკვე საკმაოდ დიდი ზარალი მიაყენა მოსახლეობას. მუნიციპალიტეტის გამგეობაში17 მაისს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სამუსაო ჯგუფი, რომელსაც სათავეში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე დავით ივანიშვილი ჩაუდგა. ჯგუფში გაერთიანდნენ სპეციალისტები, გამგეობის თანამშრომლები. როგორც ***სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ* დავით ივანიშვილმა** გვითხრა: – სამუშაო ჯგუფის მთავარი ამოცანა იყო სეტყვის შედეგად დაზიანებული ფართობებისა და მიყენებული ზარალის ხარისხის დადგენა. მთლიანად ჩვენს მუნიციპალიტეტში 15 მაისს მოსულმა სეტყვამ 1418 ჰა დაზიანა. აქედან – 90 ჰექტარი მრავალწლიანი ნარგავებია (ძირითადად ქ. საგარეჯოსა და გიორგიწმინდაში), როგორიცაა ატამი და სხვა მსხმოიარე ხეხილი. ხოლო დაზიანებული ვენახის ფართობი 1338 ჰექტარს შეადგენს. აქედან:

დიდ ჩაილურში დაისეტყვა 214 ჰა, ზარალი 30%-დან 80%-მდეა.
პატარა ჩაილურში – 140ჰა. აქაც ზარალი 30%-დან 80%-მდეა.
ყანდაურაში – 173 ჰა – 30-50%;
ვერხვიანში – 86 ჰა – 30-50%
მანავი – 339 ჰა – დაზიანება 30-80%;
კაკაბეთი – 217ჰა – 25 ჰა 80%-ზე მეტია, დანარჩენი 30-50%;
თოხლიაური – 119 ჰა; 30-50%;
გიორგიწმინდა – 18 ჰა 30-80%;
საგარეჯო – 111 ჰა 80%-ის ზევით;

სულ 15 მაისს ჩვენს მუნიციპალიტეტში 2740 ბენეფიციარი დაზარალდა;

20 მაისს განმეორებით მოსულმა სეტყვამ კვლავ მეორედ დასეტყვა ვერხვიანში 92 ჰა, ზარალი 80%-ს შეადგენს. კაკაბეთში – 76 ჰა – 80% და მას სხვა ფართობებიც დაემატა.

ყანდაურაში კვლავ მეორედ დაისეტყვა 15 მაისს დასეტყვილი ვენახები (173ჰა).

ბადიაურში 20 მაისს პირველად დაისეტყვა 60 ჰა ვენახი. რაც შეეხება დუზაგრამას, იორმუღანლოს, სათაფლეს, აქ დაისეტყვა ხორბლის ნათესები. საშემოდგომო ნათესები ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე – ხორბალი და ქერი სულ 800 ჰა-ზეა დასეტყვილი. ასევე, დაისეტყვა 400 ჰა სიმინდი (დუზაგრამა, იორმუღანლო), 60 ჰა-მდეა დასეტყვილი და განადგურებული საზამთრო და ბაღჩეული დუზაგრამის მახლობლად. ამ შემთხვევაში 280 ბენეფიციარი დაზარალდა. ახლა მთავარია მევენახემ მომავალი წლის მოსავლის მისაღებად იზრუნოს – როგორმე გადაარჩინოს სეტყვას გადარჩენილი სამამულე რქა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები

19 მაისი 2016 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ***ამავე საკრებულოს თავმჯდომარე* ზრიდონ ბურდული** უძღვებოდა. მან სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგი გააცნო.

დღის წესრიგის I საკითხზე ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №47 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“*** მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა* თინათინ ძაბილაშვილმა.**

როგორც მან აღნიშნა, დადგენილებაში ცვლილებების შეტანა გამოიწვია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 მაისის განკარგულებამ. ცვლილებები შეეხება როგორც 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობებს (შემცირდება 64635 ლარით), ისე, შესაბამისად გადასახადელების სახელმწიფო ბიუჯეტი 64635 ლარით.

ამის გამო ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელდა* შემდეგი ცვლილებები:**

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 მაისის №803 განკარგულებით შემცირდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №175 განკარგულებით გამოყოფილი თანხა შეადგენს 2614479 ლარს.

კონკრეტულად შემცირდა:

1)ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდა, რომელიც თანხაში შეადგენს- 31815 ლარს;

2) განათლების (კონკრეტულად სკოლამდელი დაწესებულებების შენობების რეაბილიტაციის) არაფინანსური აქტივების ზრდა 32820 ლარით. ეს თანხები კი ტენდერებში ვაჭრობის პროცესში დაკლებული თანხებია.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის №506 განკარგულებით 2015 წელს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხიდან მიმდინარე წელს დარჩენილი ნაშთი 95459,12 ლარს შეადგენს. ეს თანხა კი

დასასრული მე-2-მე-3 გვერდებზე

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები

გაგრძელება

გადანაწილდა შემდეგნაირად:

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯებში გადანაწილდა 19302,18 ლარი; წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია და მოვლა–შენახვის ხარჯებში 12982,12 ლარი; გარე განათების მოწყობის ხარჯებში – 17899 ლარი; კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების ხარჯებში – 33090,6 ლარი; სარწყავი არხების გაწმენდა-რეაბილიტაციის ხარჯებში – 4908,37 ლარი; განათლების ხარჯებში – 1511,85 ლარი; სპორტული მოედნების მოწყობა–რეაბილიტაციის ხარჯებში 2500 ლარი; კულტურის ობიექტების რეაბილიტაციის ხარჯებში 2481 ლარი; ამბულატორიების რეაბილიტაციის ხარჯებში 784 ლარი.

აღსანიშნავია,რომ ***ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებში განხორციელდა გარკვეული ცვლილებებიც:***

კონკრეტულად, საკრებულოს ხარჯებს გამოაკლდა 16600 ლარი:

მუნიციპალიტეტის გამგეობის ხარჯებს გამოაკლდა 84600 ლარი:

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯებსა და დასუფთავების ღონისძიებებში კი შემცირდა 4800 ლარით.

ხევების კალაპოტების გამაგრება-გაწმენდის ხარჯებში შემცირდა 4000 ლარით. აღსანიშნავია,რომ ეს შეეხო საწვავ/საპოხი მასალების შეძენას.

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯებში შემცირდა: საწვავ/საპოხი მასალების შეძენა - 4000 ლარი;

ა(ა)იპ „სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების" ხარჯებში სუბსიდიას გამოაკლდა -100000 ლარი; სულ 214000 ლარით შემცირდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ხარჯები და გადანაწილდა ინფრასტრუქტურის მშენებლობა,რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯებში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში და სკოლამდელი დაწესებულებების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში.

რაც შეეხება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯებს, აქ 28000 ლარია გათვალისწინებული სოფელ ნინოწმინდაში მდ.იორზე გადასასვლელი ხიდის შეკეთების სამუშაოები – 20000ლარი. ქ.საგარეჯოში საგზაო ნიშნების მოწყობის სამუშაოები – 8000 ლარი

წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია და მოვლა–შენახვის ხარჯებში 91700 ლარი; კონკრეტულად: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ სათაფლეში სასმელი წყლის რეზერვუარის შეკეთების და წყალსადენის მილის მოწყობის სამუშაოები-6995 ლარი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მანავში წყლის ჭაბურღილის დაერთება რეზერვუარებთან და ახალი რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები-15480 ლარი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ შიბლიანში წყალსადენის მილის მოწყობის სამუშაოები-8991 ლარი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდაში არსებული ჭაბურღილისათვის დაზიანებული ტუმბოს შეძენა მონტაჟი-9234 ლარი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდაში არსებული ჭაბურღილისათვის დაზიანებული ტუმბოს შეძენა მონტაჟი-6500ლარი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. უჯარმაში ავზისა და წყალსადენის მილის მოწყობის სამუშაოები-10000 ლარი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულში სტადიონთან არსებულ ჭაბურღილზე დაზიანებული ტუმბოს შეცვლის სამუშაოები-10000ლარი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ.ხაშმში არსებულ მაგისტრალურ მილზე ახალი ტუმბოსა და რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები-11500 ლარი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროსთავისთვის 25/6–ზე ძ/ტრანსფორმატორის შეძენა–მონტაჟის სამუშაოები-8000ლარი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდისათვის არსებული ძ/ტრანსფორმატორის მოწყობის სამუშაოები -5000 ლარი.

გარე განათების მოწყობის ხარჯებში 57400 ლარი;კერძოდ, ქ. საგარეჯოს, კახეთის გზატკეცილიზე მდებარე № 10, 12, 14, 16 კორპუსების შიდა გამავალ გზაზე გარე განათების მოწყობა-3000ლარი; ქ. საგარეჯოს, კახეთის გზატკეცილიზე მდებარე № 11, 13, 15, 17 კორპუსების შიდა გამავალ გზაზე გარე განათების მოწყობა – 6100ლარი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოში გარე განათების მოწყობის სამუშაოები – 39300 ლარი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ სათაფლეში გარე განათების მოწყობის სამუშაოები 9000 ლარი; სკოლამდელი დაწესებულებების ხარჯებში 36900 ლარი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. უჯარმის საბავშო ბაღის შენობის სახურავის შეკეთების სამუშაოები-15500 ლარი; დუზაგრამის საბავშვო ბაღისთვის ინვენტარის შეძენის და 40 ბავშვზე 4 თვის ფუნქციონირების ხარჯები 16300 ლარი. სოფელ მანავში საბავშვო ბაღში წყალშემკრები ღარებისა და წყალსაწრეტი მილების მოწყობა – 5100 ლარი.

ა(ა)იპ კულტურის ობიექტების გაერთიანების არაფინანსური აქტივების ზრდა შემცირდა 481 ლარით და გადატანილია სუბსიდიის მუხლში.

დღის წესრიგის II საკითხზე, ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების 2016 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №48 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე"*** მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსმა სოფო შაქარაშვილმა***. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილებების შეტანა გამოიწვია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამის ბიუჯეტში განსახორციელებელმა შიდა ცვლილებებმა. კერძოდ,

მე-6-ე მუხლის, მე-7-ე პუნქტში ეკონომიურად და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების მედიკამენტების დაფინანსება 0-დან 12000-მდე მოსარგებლის სტატუსის გათალისწინებით-ქრონიკულად მიმდინარე, ნაკლებად მძიმე დაავადებები, შშმ პირების დაფინანსება მოხდება თანხის 50 % -ით არაუმეტეს 100 ლარისა. მძიმე, სიცოცხლისათვის საშიში დაავადების შემთხვევაში თანხის 50 %. გამონაკლის შემთხვევაში თანხის მომატება შესაძლებელია დიაგნოზისა და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით. ონკოლოგიური ავადმყოფების დაფინასება 500 ლარამდე თანხით.

მე-6-ე მუხლის, მე-8-ე პუნქტში- ეკონომიურად და სოციალურად დაუცველი მოქალაქეთა სამედიცინო დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული, კომპიუტერული ტომოგრაფიის,კორონოროგრაფიის და ბირთვულ, მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევების დაფინასება – თანხის 50%, არაუმეტეს 500 ლარისა. გამონაკლის შემთხვევებში200 ლარამდე თანხის სრულად დაფინანსება დიაგნოზისა და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

მე-6-ე მუხლის, მე-19-ე პუნქტში- სოციალური სააგენტოს სტატუსის არ მქონე ოჯახების გამონაკლისის სახით დაფინასება,რომელთა სამკურნალო თანხა აღემატება 300 ლარს განსაკუთრებულ შემთხვევაში შეუძლიათ მიმართონ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, რომელთა შუამდგომლობის საფუძველზე შესაძლებელია გამოყოფილი იქნას დახმარება ან გაიზარდოს თანხის მოცულობა იმ პირების მიმართ, რომლებიც ვერ აკამაყოფლებენ სამიზნე ჯგუფების მოთხოვნებს.

საკითხის ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამის ფარგლებში დარჩენილი თანხებით შესასრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ" მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა გიორგი ქურდოვანიძემ***.

როგორც მან აღნიშნა, 2014-2015 წლებში „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამის ფარგლებში დარჩენილი თანხებით მუნიციპალიტეტში შესრულდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები. კერძოდ, კეთილმოწყობის სამუშაოები – სარწყავი არხის სისტემის რეაბილიტაცია (სოფელი სასადილო – 2464 ლარი), სარწყავი არხის კიუვეტით მოწყობა (სოფელი მანავი – 2443 ლარი), სარიტუალო დარბაზის რემონტი (სოფელი გომბორი – 12746 ლარი), სარიტუალო ინვენტარის შეძენა (სოფელი გომბორი – 8000 ლარი), ეკლიანი მავთულის მოწყობა სარწყავი არხის გასწვრივ (პალდო – 1097 ლარი),სასაფლაოს შემოღობვა ((მანავი – 6189 ლარი),ე.წ. ყველიერის ადგილის შემოღობვა (პატარა ჩაილური – 197 ლარი),მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა (სოფელი კაზლარი –4861 ლარი),მოეწყობა გარე-განათება (სოფელი თოხლიაური, სოფლის ცენტრალურ ქუჩაზე დაწყებული გარე-განათების დასრულება – 1837 ლარი, სოფელი ქეშალო – 16062 ლარი), წყალმომარაგების მოწესრიგება (სოფელი ხაშმი – 1600 ლარი, სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაცია, პატარ-

დასასრული მე-3 გვერდზე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირები

17 მაისი, 2016 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ტრადიციულ თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გზირიშვილი*** უძღვებოდა. მან გამგებლის წარმომადგენლებისგან მოისმინა ზეპირი ინფორმაციები 15 მაისს მოსული სეტყვის შედეგების შესახებ. გაირკვა, რომ მთელ რიგ სოფლებში 50-დან 100%-მდე დაზიანდა როგორც მრავალწლიანი ნარგავები – ვაზი, ატამი, ვაშლი, ისე ერთწლიანი მცენარეები – ხორბალი, ქერი, ბაღჩეულისა და ბოსტნეულის ნათესები – საზამთრო, პომიდორი, კიტრი. დაუზუსტებელი ინფორმაციით, 17 მაისისათვის სულ მუნიციპალიტეტში 1400 ჰა-ზე მეტ მიწის ფართობზეა ზარალი დათვლილი. ამიტომ,გამგებლის წარმომადგენლებმა მთელი სიზუსტით უნდა მოახდინონ სეტყვით დაზარალებულთა სიების დაზუსტება, მოახდინონ ზუსტი აღრიცხვა დაზიანებული ნაკვეთებისა. ამ ეტაპზე როგორც მუნიციპალიტეტის გამგებელმა აღნიშნა, ამ ეტაპზე მოხდება მხოლოდ ზარალის დათვლა.

თათბირზე, ასევე, მოისმინეს სოფლებში არსებული პრობლემები და იმსჯელეს მათი მოგვარების გზებზე.

თათბირს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის ***გამგებლის მოადგილე გიორგი რევაზიშვილი*** და გამგეობის სამსახურების უფროსები.

24 მაისი, 2016წ.

თათბირს ***საგარეჯოს მუნიციპალიტე-***



ტის გამგებლის მოადგილე გიორგი რევაზიშვილი უძღვებოდა. მან გამგებლის წარმომადგენლებისაგან მოისმინა ინფორმაციები იმ საკითხების მოგვარების შესახებ, რომლებიც დასმული იყო წინა თათბირებზე. როგორც გაირკვა, სოფელ ბადიაურის მოსახლეობას უკვე მიეწოდება სასმელი წყალი ე.წ. „სოკარის წყლიდან", რომელიც ბოლო ხანს პრობლემატური იყო. გამგებლის წარმომადგენლებმა ნინოწმინდაში, ხაშმში, პატარძეულსა და ყანდაურაში ისაუბრეს სოფლად არსებულ იმ პრობლემებზე, რომლებიც 15 მაისსა და 20 მაისს მოსულმა უხვმა ნალექებმა შექმნა.

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები

დასასრული

ძეული – 182 ლარი – სასმელი წყლის პოლიეთილენის მილების და ონკანების შეძენა, წყაროსთავი – 335 ლარი – 150 მმ-იანი მილის შეძენა, გიორგიწმინდა – 1363 ლარი – „ნავრობის ხევის“ სათავე ნაგებობის შემოღობვა; სათაფლე – 736 ლარი – პოლიეთილენის მილის შეძენა, პატარა ჩაილური – 4423 ლარი – „ასანიანთ წყლის“ რეაბილიტაცია; ვერხვიანი – 541 ლარი – სასმელი წყლის რეზერვუარის რეაბილიტაცია, ყანდაურა – 849 ლარი – საუბნო წყლის რეაბილიტაცია; მზისგული – 1933 ლარი – სასმელი წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია; იორმუღანლო – 1019 ლარი – სოფელში ე.წ. „სოკარის წყლის“ გაყვანა შლანგით); მოხდება ასევე გზების რეაბილიტაცია; (ხაშმი – 2755 ლარი – სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია; კაკაბეთი – 11049 ლარი – სავარგულებამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, შიბლიანი – 5498 ლარი – სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია). მოწესრიგდება სოფლებში არსებული სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობების (უჯარმა – 784 ლარი - ამბულატორიის საპირფარეშოს საშენი მასალის შეძენა, ხაშმი – 1920 ლარი – კულტურის სახლის სახურავის რეაბილიტაცია, ნინოწმინდა – 2500 ლარი – სოფლის სტადიონის შემოღობვა, ბადიაური – 561 ლარი – სასოფლო კლუბისთვის საპირფარეშოს მოწყობა).

საკითხის ***„არასამეწარმეო იურიდიული პირის „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის ხარისხის ქიმიურ-ბაქტეიროლოგიური კვლევის ცენტრის შექმნის და წესდების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №36 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა კახაბერ მარგებაძემ***. აღნიშნული აიპ-ის წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი და ამავე წესდების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით: „საგარეჯოს მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ტერიტორიაზე არსებული სათავე-ნაგებობების, რეზერვუარების, შიდასაუბნო და ცენტრალური ქსელების, სატუმბი სადგურების რეგულირება, ექსპლოატაცია, მიმდინარე შეკეთება (აღდგენა, გამოცვლა) მოვლა-პატრონობა და რეცხვა-დეზინფექცია სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით“.

საკრებულოს სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი ***„სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტ „ეტალონში“ 2015 წლის გამარჯვებულ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე ირაკლი ხარებაშვილისთვის 2016 წლის იანვარ-აპრილის სტიპენდიის მიცემის შესახებ“.***

***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა კოალიციის შექმნის შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის 31 ოქტომბრის №121 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ მოხსენება გააკეთა მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე მეზვრიშვილმა** – როგორც მან აღნიშნა, პარტია „ქართული ოცნების“ ფრაქციათა კოალიციაში შემავალმა პარტიებმა დატოვეს კოალიცია და ზოგიერთი ოპოზიციაში გადავიდა. ამდენად, ავტომატურად, ჩვენს საკრებულოშიც არსებული ფრაქციათა კოალიცია დაიშალა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, არქიტექტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ელდარ მეფარიძის მოხსენებები შეეხო საგარეჯოში მცხოვრები მოქალაქის განცხადებებს – საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების ***ნუმერაციის მინიჭების შესახებ.***

დეპუტატებმა წარმოდგენილი თითოეული საკითხის ირგვლივ იმსჯელეს და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

საკრებულოს სხდომას ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **გიორგი გზირიშვილი** ესწრებოდა.

27 მაისი, 2016 წელი

სამი თვის ბიუჯეტის შესრულება

სოციალური დახმარება

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27 მაისის მორიგ სხდომას ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარე ფრიდონ ბურდული*** უძღვებოდა. სხდომის პირველ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა*** **თინათინ ძაბილაშვილმა.** როგორც მან აღნიშნა:

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის სამი თვის ბიუჯეტმა, რომელიც დამტკიცებული იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის 47 დადგენილებით 2016 წლის 3 თვეში ცვლილება განიცადა ორჯერ.

მუნიციპალიტეტის 2016 წლის სამი თვის ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №175 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 2 679 114 ლარით, აღნიშნული თანხით დაფინანსდება 10 ინფრასტრუქტურული პროექტი: 1) ქ.საგარეჯოში, დოდაშვილის ქუჩაზე ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობა 212 495 ლარი; 2) სოფელ შიბლიანში მისასვლელი გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა 1 227 571ლარი, 3) ქ.საგარეჯოში, ქეთევან წამებულის ქუჩაზე ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობა 322 932 ლარი; 4) ქ.საგარეჯოში, წერეთლის ქუჩაზე ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობა 181 924 ლარი; 5) ქ.საგარეჯოში, ქურდიანის ქუჩაზე ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობა 41 714 ლარი; 6) ქ.საგარეჯოში, ჯანგულაშვილის ქუჩაზე ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობა 81 662 ლარი. 7) სოფელ ხაშმში სათავე ნაგებობის მოწყობა და შიდა ქსელების რეაბილიტაცია 252 367 ლარი; 8) სოფელ პატარა ჩაილურში სატუმბი რეზერვუარისა და ცენტრალური სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა 174 499 ლარი; 9) სოფელ ბადიაურის საბავშო ბაღის რეაბილიტაცია 104 797 ლარი; 10) ქ. საგარეჯოს №3 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია 79 153 ლარი;

სულ ***გრანტი გაიზარდა 2 679114 ლარით.***

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის სამი თვის შემოსავლები 2016 წლის სამი თვის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით შესრულდა 79 %–ით, 2016 წლის სამი თვის დაზუსტებული გეგმიური 2007,3 ათასი ლარის ნაცვლად შემოსავალმა შეადგინა 1582.8 ათასი ლარი; მათ შორის:

საწარმოთა ქონებაზე გადასახდის გეგმა შესრულდა 68 %-ით (დაზუსტებული გეგმა 20,0 ათასი ლარი; შესრულება 13,6 ათასი ლარი); ფიზიკურ პირთა ქონებაზე(გარდა მიწისა) გადასახადის - 0% (გეგმა 6,0 ათასი ლარი, შესრულება 0 ლარი) სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 30% (გეგმა 305,0 ათასი ლარი, შესრულება 92,8 ათასი ლარი); არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 15 % (გეგმა 20,0 ათასი ლარი, შესრულება 3,1 ათასი ლარი); საშემოსავლო გადასახადი 70,3 % (გეგმა 175,0 ათასი ლარი, შესრულება 122,9 ათასი ლარი); პროცენტებიდან შემოსავალი - 136 %-ით (გეგმა 20,0 ათასი ლარი, შესრულება 27.1 ათასი ლარი); მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის -97 % (გეგმა 150,0 ათასი ლარი, შესრულება 145,0 ათასი ლარი); შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან 660 % (გეგმა 0,7 ათ.ლარი, შესრულება 4,6 ათ.ლარი); მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე - 32 % (გეგმა 8,0 ათასი ლარი, შესრულება2,6 ათასი ლარი); სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 0 % (გეგმა 3,0 ათ.ლარი, შესრულება 0 ლარი) ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 100 % (გეგმა 10,0 ათასი ლარი, შესრულება 10,0 ათასი ლარი) შემოსავლები მომსახურეობის გაწევიდან 42 % (გეგმა 2,5 ათასი ლარი, შესრულება 1,0 ათ.ლარი) ჯარიმები, სანქციები, საურავები 58 % (გეგმა 241,0 ათასი ლარი, შესრულება 139,2 ათასი ლარი); შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები % (გეგმა 0 ათ,ლარი, შესრულება 0,2 ლარი). არაფინანსური აქტივების კლება: ძირითადი აქტივები 0% (გეგმა 10,0 ათ.ლარი, შესრულება 0 ლარი) არაწარმოებული აქტივების (მიწის)გაყიდვიდან 278 % (გეგმა 20,0 ათასი ლარი, შესრულება 55,6 ათასი ლარი);

2016 წლის სამ თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულია გრანტი 965,0 ათასი ლარის ოდენობით, გეგმიური 963,6 ათასი ლარის 100 %, მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერი 765,0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 52,5 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად (კაპიტალური ტრანსფერი) 147,5 ათ.ლარი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის სამი თვის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება სამი თვის დაზუსტებულ გეგმასთან (გეგმა 2839,8 ათ.ლარი, შესრულება 2029,1 ათ.ლარი) ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით შესრულდა 71 %-ით. მათ შორის:

ბიუჯეტის შეუსრულებლობა ხარჯვით ნაწილში გამოწვეულია ინფრასტრუქტურული პროექტების შეუსრულებლობით, კერძოდ: 2015 წლის „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით შესრულებული სამუშაოები“ რომლებიც დასრულებულია და გადაგზავნილია ექსპერტიზაზე, მათი საბოლოო ანგარიშსწორება არ მომხდარა აღნიშნულიდან გამომდინარე. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული 2015 წელს სოფელ წყაროსთავსა და ე.წ. „აჭარლების უბანში“ 4 სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა შემსრულებელი შ.პ.ს „დრილ მასტერი“ სამუშაოს შესრულების ვადა 15 თებერვლამდე ჰქონდა, 116000 ლარის სამუშაო შეუსრულებელი დარჩა პირველ კვარტალში.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების კუთხით

2016 წლის სამ თვეში ერთჯერადი სოციალური დახმარება გაიცა სულ 53800 ლარი.

– სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონარული მკურნალობის და ოპერაციების დასაფინანსებლად გადაირიცხა 20501,13 ლარი.

– ეკონომიურად და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მედიკამენტების დასაფინანსებლად მათ შორის ონკოლოგიური ავადმყოფებიც, გადაირიცხა -20585,62 ლარი

– დიალიზზე მყოფ მოქალაქეებისათვის გადაირიცხა 3300 ლარი.

– პირველ და მეორე შვილზე ახალშობილთა ოჯახების დახმარება გაიცა 600 ლარი

– საგარეჯოს ტერიტორიაზე რეგისტრილებული მარტოხელა მშობლის სტატუსისმქონე პირების ერთჯერადი დახმარება გაიცა 500 ლარი

– უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯი 600 ლარი.

– მრავალშვილიან ოჯახების დახმარება 2000 ლარი.

– 95 წელს გადაცილებულ ხანდაზმულებზე 600 ლარი.

– შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე 3550 ლარი.

– უდედმამო ბავშვებზე 18 წლამდე 600 ლარი, სამშობლოს დაცვისათვის ომში დაღუპულთა დაკრძალვის ხარჯები 300 ლარი, სამამულო ომის ვეტერანთა დაკრძალვის სარიტუალო ხარჯები 250 ლარი, სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული სახლების მაცხოვრებელთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა (ბინის კომპენსაცია) 5775 ლარი, სოციალურად დაუცველი ოჯახის მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯი 1600 ლარი.

დღის წესრიგის II საკითხზე ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის შპს „საგარეჯოს“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“*** მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა*** **კახაბერ მარგებაძემ.**

აღნიშნული მოხსენების ირგვლივ საკრებულოს წევრებმა დასვეს კითხვები, რომლებზედაც პასუხები გასცეს მომხსენებელმა კახაბერ მარგებაძემ, თანამომხსენებელმა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ივანე ბეჟიაშვილმა, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა თინათინ ძაბილაშვილმა, მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გზირიშვილმა. საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს მოსმენილ საკითხზე და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ქალაქისა და სოფლების მცხოვრებთაგან საცხოვრებელი სახლების დამისამართების შესახებ შემოსულ განცხადებებზე მოხსენება გააკეთა ***საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ*** **ელდარ მეფარიძემ.**

საკრებულომ მოსმენილ და განხილულ საკითხებზე მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

მუნიციპალური გვერდი

გმირთა სახელებს დაიმახსოვრებენ

დიდი ჩაილურის სკოლაში დაღუპული გმირების მემორიალური დაფები გაიხსნა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. დიდი ჩაილურის სკოლას ***საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი*** **თამარ სანიკიძე** და ***თავდაცვის მინისტრი*** **თინათინ ხიდაშელი** ეწვივნენ და საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული გმირების - **ზურაბ ფეიქრიშვილისა და გიორგი კირაკოზაშვილის** მემორიალური დაფები გახსნეს.

საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო პოლიციის რიგითი ზურაბ ფეიქრიშვილი აფხაზეთის ომში დაიღუპა, ხოლო IV ქვეითი ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის შტაბის შ2 დაზვერვის ოფიცერი კაპიტანი გიორგი კირაკოზაშვილი კი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს შეეწირა.

მემორიალური დაფების გახსნას ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები*** **მიხეილ სვიმონიშვილი, დავით ივანიშვილი** და ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი*** **არჩილ ჯაბადარი** ესწრებოდნენ.

ღონისძიებას, რომელიც, საქართველოს დროშის აღმართვის ცერემონიალით დასრულდა, გიორგი კირაკოზაშვილის დედაც დაესწრო.

ზრუნვა გარემოზე

დასუფთავების აქცია

კამპანიაში „დავასუფთავოთ მსოფლიო“ , საქართველო რამოდენიმე წელია აქტიურად არის ჩართული. წელს, უკვე მესამედ კახეთში ტარდება „ალაზნის დაცვის“ დღე, სწორედ ამ დღესთან დაკავშირებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. იორმუღანლოში მოეწყო დასუფთავების აქცია, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად სოფ.იორმუღანლოს, დუზაგრამის, მუღანლოს და ლამბალოს სკოლის მოსწავლეებმაც მიიღეს მონაწილეობა. აქციის ფარგლებში დასუფთავდა მდინარე ივრის ხეობის მიმდებარე ტერიტორია.

სოფლის მეურნეობა

საინფორმაციო შეხვედრა ხაშმში

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ირიგაციის თანამედროვე მეთოდების გავრცელების ხელშეწყობის მიზნით, საინფორმაციო კამპანიას ატარებს. მორიგი შეხვედრა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმში გაიმართა. კომპანიის წარმომადგენლებმა ადგილობრივ ფერმერებს წვეთური და დაწვიმებითი ირიგაციის მეთოდების შესახებ დეტალური პრეზენტაცია წარუდგინეს და მის უპირატესობაზე მიაწოდეს ინფორმაცია.

ირიგაციის ეს მეთოდი მორწყვის ტრადიციულ, მიგდებით მორწყვის წესზე ბევრად მომგებიანია, ვინაიდან ელექტროენერგიის, წყლის და სასუქის ორჯერ ნაკლებ რესურსს საჭიროებს და მნიშვნელოვნად ზრდის მოსავლიანობას.

შეხვედრას შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი **ლევან დვალი,** შპს „საქართველოს მელიორაციის“ კახეთის რეგიონის დირექტორი **ნიკოლოზ ქურთიშვილი** და ადგილობრივი მოსახლეობა ესწრებოდა.

ახალგაზრდობა და თვითმმართველობა

ახალგაზრდული პროგრამის ფარგლებში საგარეჯოს 6 სკოლის მოსწავლეებმა მუნიციპალიტეტის გამგებელს გიორგი გზირიშვილს საკუთარი ინიციატივები წარუდგინეს

პროექტის „ახალგაზრდები თემის განვითარებისთვის“ ფარგლებში საგარეჯოს 80 მდე ახალგაზრდამ, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა სპეციალური ტრენინგ-პროგრამა გაიარა, რომელიც ითვალისწინებდა მოსწავლეებისათვის კომუნიკაციის, ლიდერული უნარ-ჩვევების, მოხალისეობისა და სამოქალაქო აქტივობის ხელშეწყობას. პროექტი ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „მედია ცენტრი კახეთი“ ჩეხური ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“ დახმარებით განახორციელა, რომელსაც ფინანსური მხარდაჭერა გაუწია „მსოფლიო ბანკმა“.

ტრენინგებმა შერეული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის ხელი შეუწყო ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ თემსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ინტეგრაციას.

პროექტის დირექტორის მაია მამულაშვილის განცხადებით, პროექტის ერთ-ერთ აქტივობას წარმოადგენდა ახალგაზრდების მიერ საგარეჯოს განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ინიციატივების ადგილობრივი თვითმმართველობისათვის შეთავაზება.

ძალიან მნიშვნელოვანია, ის, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გზირიშვილმა პირადად მიიღო მონაწილეობა ამ ინიციატივების განხილვაში. საბოლოოდ, შერჩეული და მოწონებული ახალგაზრდული ინიციატივები უახლოეს მომავალში იქნება მხარდაჭერილი.

განხორციელებულმა პროგრამამ ხელი შეუწყო ახალგაზრდების აქტივობის, მათი უნარებისა და შესაძლებლობების გაზრდას ინტენსიური სასწავლო და მოხალისეობრივი აქტივობებით; სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ახალგაზრდების ცოდნის ამაღლებას, ინტეგრაციასა და თანამონაწილეობას: ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ თემში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ თანატოლებთან დიალოგის მხარდაჭერას სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების გზით.

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს საგარეჯოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას და ამ გზით მათ ჩართვას საზოგადოებრივ საქმიანობაში;

საგარეჯოს გამგებლის **გიორგი გზირიშვილის** განცხადებით: მნიშვნელოვანია ახალგაზრდული ინიციატივების განხილვა საჯარო სივრცეში. ჩვენ მოვისმინეთ ძალიან საინტერესო და საჭირო ინიციატივები, რომელიც საგარეჯოსთვის არის აქტუალური. ,შევეცდებით, შეძლებისდაგვარად, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში ყველა მათგანს დავუჭიროთ მხარი. ახალგაზრდების მიერ შემოთავაზებული წინადადებების უმეტესობა წელსვე იქნება მხარდაჭერილი, ხოლო რამდენიმე მათგანი კი, მომავალი წლისთვის იქნება გათვალისწინებული.”

ახალგაზრდებმა რამდენიმე ინიციატივა წარადგინეს: ქალაქ საგარეჯოს ბიბლიოთეკაში ახალგაზრდული სამკითხველოს მოწყობა; სოფელ დუზაგრამაში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია და სოფლისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყოფა, ასევე სოფელ დუზაგრამას ცენტრალური ნაწილის ინტერნეტით უზრუნველყოფა და სკოლაში მუსიკის გაკვეთილისა და ინსტრუმენტების დამატება, ხოლო ქალაქ საგარეჯოში ღია კინო ჩვენებების მოწყობას და გოგონათა სპორტული კლუბის ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა.

ჩვენი მუნიციპალიტეტი

ქალაქი საგარეჯო

გაბრძელება

დასაწყისი იხ. „გარეჯის მაცნე“ №9

№4 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში (მენეჯერი **ლილი ლოლაძე**) 20 აღსაზრდელია. აქ მათ აღზრდას ერთი – აღმზრდელი, ერთი – აღმზრდელის თანაშემწე, ერთი – მზარეული, მედდა, დამლაგებელი, ცეცხლფარეში და დარაჯი ემსახურება.

დაწესებულების აღსაზრდელებმა ახალმოსახლეობა ახალ, გარემონტებულ, თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილ შენობაში 2015 წლის სექტემბერში იზეიმეს. მანამდე დაწესებულების თანამშრომლებს 100 წლის წინათ აგებულ შენობაში უხდებოდათ მეცადინეობების ჩატარება, სადაც ელემენტარული პირობებიც არ ჰქონდათ ...

საგარეჯოს №5 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში (მენეჯერი **მაია კოხტაშვილი**) 55 აღსაზრდელია, სადაც ოთხი - აღმზრდელი, სამი – აღმზრდელის თანაშემწე, ერთი – აღმზრდელი – ლოგოპედი, ერთი – აღმზრდელი-ფსიქოლოგი, ერთი – მეთოდისტი, ერთი – მუსიკის მასწავლებელი, ერთი – მედდა, ორი – დამლაგებელი, ერთი – მზარეული, ორი – დამლაგებელი, ერთი – ცეცხლფარეში და ერთი დარაჯია.

ქალაქის №6 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებამ (მენეჯერი-აღმზრდელი **ეკატერინე დარისპანაშვილი-მელაშვილი**) 2015 წლის სექტემბერში პირველად მიიღო თავისი აღსაზრდელები. აქ ათეული წლების შემდეგ 30-მა აღსაზრდელმა შეაღო კარი, სადაც ერთი აღმზრდელის თანაშემწე, მედდა, დამლაგებელი, მზარეული, დარაჯი მათ სამსახურში დახვდათ.

განათლება

ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო ოთხ საჯარო სკოლაში სულ 1539 მოსწავლე სწავლობს.

საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის (მენეჯერი **ლელა ფანოზიშვილი**) №14 საფინანსო კლასში 565 მოსწავლე სწავლობს.

მათ განათლებაზე 48 პედაგოგი ზრუნავს.

№2 საჯარო სკოლაში (მენეჯერი **ეკა ძვრივიშვილი**) 318 მოსწავლე ... 14 საფინანსო კლასშია გაერთიანებული, სადაც 32 პედაგოგი ემსახურება მათ სწავლა-აღზრდის საქმეს.

№3 საჯარო სკოლის (მენეჯერი **ნატალია კურდღელაშვილი**) 12 საფინანსო კლასში 170 მოსწავლეა. სკოლაში 25 პედაგოგია.

№4 საჯარო სკოლაში (მენეჯერი **ნელი ბალახაშვილი**) 21 საფინანსო კლასში 486 მოსწავლეა, პედაგოგია – 50.

ქალაქის ოთხივე სკოლა აღჭურვილია თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სპორტული დანიშნულების დარბაზებით, მოედნებით, კომპიუტერული, ვიდეო და აუდიო მომსახურებითა და ინტერნეტით.

აიპ „სამუსიკო სკოლა“

ჯ. ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლის (დირექტორი **ლია ბურჯანაძე**) 226 მოსწავლის კულტურულ-მუსიკალურ ძის სახელობის საგანმანათლებლო სასწავლებელი, (დირექტორი: **ილია მატიაშვილი**) სადაც 45 სტუდენტს 15 პედაგოგი პროფესიის დაუფლებაში ეხმარება.

ქალაქში ფუნქციონირებს “ლიბერთი ბანკის”, “საქართველოს ბანკის”, ბანკი “კონსტანტას”, “ფინკა ბანკის”, ბანკი “კრედოს” ადგილობრივი ფილიალები.

ქალაქის მოსახლეობას ფარმაცევტული კომპანიების “ავერსის”, PSP-ს (სამი), “სახალხო აფთიაქის”, “იმპექსის” ადგილობრივი ფილიალები ემსახურება. გარდა ამისა, არის კიდევ რამდენიმე კერძო აფთიაქი.

საგარეჯოში მოქმედებს სხვადასხვა სახის გადამამუშავებელი საამქროები, ავტოპროფილაქტიკები, სავაჭრო, კვების, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, ცხოველთა ორი სასაკლაო, მთლიანად კი საწარმოთა საერთო რაოდენობა 350 აჭარბებს. ქალაქის ტერიტორიაზეა განლაგებული “სოკარის”, “გალფის” და სხვადასხვა ფირმების 6 ბენზინ და გაზგასამართი სადგურები.

დასასრული შემდეგ ნომერში

№10(120) 2016 წელი, 16-31 მაისი

26 მაისი საგარეჯოში

საქართველოზე თქმული

ჰეგელი:

– **მხოლოდ** კავკასიის ხალხში აღწევს სული თავის აბსულუტურ მთლიანობას, ერთიანობას საკუთარ თავთან, აბსულუტურ დამოუკიდებლობას... აღწევს თვითგამორკვევას, თვითგანვითარებას და ამით წინ მიჰყავს მსოფლიო ისტორია... მსოფლიოს ისტორიაში პროგრესი მხოლოდ კავკასიის რასის წყალობით ხდება.

არტურ ლაისტი:

– **ღმერთს** დაუბერტყია უხვი კალთა ამ ქვეყანაში.

რემონ შანენი:

– **აღმოსავლეთის** ეკლესიებში საქართველოს ეკლესია, უსათუოდ, ერთი უწარჩინებულესთაგანია, არა მარტო იმ წმინდანებითა და მეცნიერებით, რომელიც მან წარმოშვა და სასულიერო ხელოვნების ნამოქმედარით, არამედ თავისი ბრწყინვალებითა და ზედ-გავლენით, მრავალ უცხო ქვეყნებში რომ მოიპოვა და აგრეთვე მუდმივი ბრძოლით, ყოველთვის რომ აწარმოებდა თავის შვილთა სარწმუნოების დასაცავად... ინებოს ღმერთმა და წარსული დიდების ხსოვნამ შთააგონოს ქართველებს, რათა დაიბრუნონ ის საპატიო ადგილი, რომელიც მათ უნდა ეკუთვნოდეს იესო ქრისტეს მიერ დამყარებულ ერთადერთ მსოფლიო ეკლესიის წიაღში".

იმანუელ კანტი:

– **საქართველო** მზეთუნახავთა ორანჟერეა გახლავთ.

ჰანს იორან ჰოქსტენტი

– **საქართველოს** ისტორია სიკეთის, სიყვარულის, ხიზანთა თავშესაფრის ისტორიააა...

შარლ ჰუმელი:

– **ქართველები** უძველესი კულტურის ხალხია. ეს ერი თავისი ძეგლებითა და გმირული ისტორიით უმდიდრესი ერია, მისი წარმოშობის ფესვი უხსოვარ წარსულში იკარგება, დანამდვილებით არავინ იცის, ვის ენათესავებიან ისინი – ძველ შუმერებს, ეტრუსკების თუ ბასკებს... კავკასიაში ცხოვრობს უძველესი კულტურისა და ენის მფლობელი ევროპელი ხალხი. ამ ხალხის გაცნობა დიდად გაამდიდრებს მკითხველთა შემეცნებას, განუზომელ სულიერ სიამოვნებას მიანიჭებს მათ.

გუსტავ კირკი:

ქართველი ხალხი დიდი ერია, ხოლო რუსთაველი – ყველა დროისა და ხალხის უდიდესი პოეტი.

მიხაი ზიჩი:

– **რუსთაველის** „ვეფხისტყაოსანი" დღემდე ერთგვარ ბიბლიას წარმოადგენს ქართველთათვის, როგორც პოლიტიკური და მორალური წყარო...

თუ ვინმე მათ (ქართველებს) სამსახურს გაუწევს, ყოველთვის მზად არიან სიკეთით გადაუხადონ სამაგიერო, რითაც ძალა შესწევთ, თანაც ამას აკეთებენ უფაქიზესი მეგობრული გრძნობით.

სტივენ ჯონსი – ქართველოლოგი

თქვენ შემონახული გაქვთ მეგობრობის მაღალი ტრადიცია, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს რაინდული მეგობრობის დრო წავიდა...

გიუნთერ ბროკი:

– **თუ შეიძლება** საქართველოს სიმბოლური სინონიმი გამოეძებნოს, მე ვიტყოდი, რომ ის ედემია.

რიხარდ მეკელაინი – ქართველოლოგი:

– **გამოხატვის** საშუალებით ქართული ენა მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესია.

ვილჰელმ გოტფრიდ ლაიბნიცი:

– **გამაოცა** ქართული ენის დროთა კილოთა სიუხვემ.

არტურ ლაისტი:

– **ქართული** ენა მსოფლიოს მერვე საოცრებაა.

ტონიტო გუერა:

„**თქვენს** ერს მარად აღტაცებით შესცქერის ყველა.დარჩით ასეთ ხალხად, რომელსაც შეუძლია ასწავლოს ცხოვრება სხვას.

ედგარ მილო:

– **კაცობრიობა** ვერ განთავისუფლდება, თუ საქართველო არ განთავისუფლდა.

ალბერტ მალში:

ქართველი ერი, რიცხვით მცირე, ცივილიზაციით და სულით ძლიერია.

ადოლფ ჰიტლერი:

კავკასიური რასა უმდიდრესია.

ბოლო ზარი

ცხოვრების ახალი ეტაპი იწყება

დღეს 20 მაისია. მაისი საქართველოში ვარდობის თვედაა სახელდებული, ვისთვის ულამაზესი, ბუნების სილამაზის, სიცოცხლის სიმბოლო, ვისთვის რაღაც, გარკვეული ეტაპის დასასრული და ცხოვრების ახალი ეტაპის დასაწყისი, ახალი, შეუცნობი სამყაროს კარიბჭე... დღეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მეთორმეტეკლასელთათვის „ბოლო ზარის" დღეა. დიახ, 385 მეთორმეტეკლასელისათვის და არა მარტო მათთვის დასამახსოვრებელი, მთელი ცხოვრების მანძილზე კეთილმოგონებად მონიშნული დღე...

...თეთრი პერანგები და თეთრი წინსაფრები ამ დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, მასზე დახატული ზღაპრის გმირები თუ ყვავილები მისი მფლობელის იმდღევანდელ სულიერ განწყობილებაზე მიგვანიშნებს. აფორიაქებულები, სიხარულის სხივებით გაცისკროვნებულები ერთმანეთს „სკოლის დამთავრების" წარწერით ულოცავენ და სულ მალე ადგილი აღარ რჩება, თუმცა მილოცვის მსურველი ბევრია...

საგარეჯოს II საჯარო სკოლის წინ მეთორმეტეკლასელებს თითქოს ერთი წრე გაუკეთებიათ და ცოცხალ დაფებად ქცეულან. მეორესკოლელ **გვანცა ოსიყმიშვილს** თავისი პირველი მერხის მეგობარი პირველი საჯარო სკოლიდან სულ ახლახანს ერთად ბავშვობაგატარებული **გიორგი ქურხული** საუკეთესო სურვილებით თეთრ პერანგზე წარწერას უკეთებს. ვუყურებ და ვგრძნობ, რომ ამ წუთას ამ გოგო-ბიჭებთან მთელი სამყაროა გაერთიანებული თავისი დადებითი ემოციებით, სიკეთეებით და სიხარულებით...

განწყობას ვეკითხები, ისე, უბრალოდ, მაგრამ... ვგრძნობ ენაწყლიან გიორგის და გვანცას უჭირთ ემოციების სიტყვებით გამოხატვა, თუმცა, სულაც არ არის საჭირო სიტყვები, რადგან ამ წუთებში, ამ დღეს სიტყვები უძლურია, თუმცა, ამ სიხარულთან ერთად სინანულის პატარა სიმიც ირხევა – დღეიდან მათ „სხვანაირი" საფიქრალი და საზრუნავი ეძლევათ – ჯერ სასკოლო გამოცდები, შემდეგ კი ერთიანი ეროვნული გამოცდები, რომლებიც ვინ იცის, შემდეგში როგორ განსაზღვრავს მათ მომავალს... მაგრამ, მე პირადად მჯერა, რომ ისინი უფრო დიდ, უფრო ლამაზ და მნიშვნელოვან სიტყვას იტყვიან ცხოვრებაში, რადგან მათ უკვე იცნობს მშობლიური ქალაქი, სხვა საჯარო სკოლების მოსწავლეები, როგორც ინტელექტუალ, შემოქმედ და ნიჭიერ ახალგაზრდებს.

შოთა შალვაშვილი და **გიორგი უნაფქოშვილი** პატარძეულის საჯარო სკოლის

მეთორმეტეკლასელები არიან, თუმცა, სულ რამდენიმე დღესღა გაატარებენ ისინი სკოლის კედლებში და შემდეგ სტუდენტის წოდების მოსაპოვებლად იბრძოლებენ.

შოთიკოც და გიორგიც სწავლის პარალელურად პატარძეულის რაგბის სექციის საკმაოდ წარმატებული რაგბისტები არიან. შოთიკო მაისის მარათონში გამარჯვებულია ჩვენი მუნიციპალიტეტიდან...

ერთი შეხედვით, საუბრისას, თითქოს ჩვეულებრივი ბიჭები არიან, ზოგჯერ სწავლისადმი თავიანთი სიზარმაცით, სიცელქითა და თავისებური ცხოვრების წესით, მაგრამ საუბრისას, რაგბის ხსენებისას სულ სხვანაირები ხდებიან – თითქოს სიმაღლეშიც უფრო ემატებათ, სახეც უბრწყინავთ, უკვე საუბრის „საღერღელიც" ეშლებათ და სიყვარულით, სიხარულით გიხსნიან, როგორ გაუხსნათ გზა რაგბიმ მათ ერთმანეთის თანადგომის, ერთმანეთის დაცვის, სირთულეებთან ვაჟკაცური შერკინებისა და ერთობლივად გადალახვის. მიხსნიან, მარწმუნებენ, რომ რაგბი მართლაც სპორტის ის სახეობაა, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებას ასახავს ქართველების – მოითხოვს აზროვნებას, კეთილგონიერებას, მამაცობას, ვაჟკაცობას, ,ნებისყოფას და რატომღაც მეც გული მწყდება, იქნებ რაგბის სამშობლო საქართველოა და არა ინგლისი, იქნებ სწორედ მათი, ამ ბიჭების წინაპარი იყო რაგბის ფუძემდებელი და არა ვიღაც, ინგლისელი უილიამ უებ ელისი?!

ორივეს, შოთიკოსაც და გიორგისაც პროფესიები არჩეული აქვთ, შოთიკო ბიზნესის საიდუმლოებების შესწავლას ისახავს მიზნად, გიორგი – საავიაციო ტექნოლოგიების დაუფლებას. მაისის ამ ლამაზ თვეს კი სიყვარულით გაიხსენებენ, გაიხსენებენ თავიანთ ლამაზ სასკოლო ცხოვრებას, თანაკლასელებს, ბავშვობას და დამრიგებელს, ყველაზე თბილ მასწავლებელს – ხათუნა ახვერდაშვილს.

ვულოცავთ მათ და ყველა მათ თანატოლს სკოლის დამთავრებას, წარმატებებს და გამარჯვებებს ვუსურვებთ.

გამოსათხოვარი

ჩვენო დიდო ქალბატონო

იშვიათად შევხვედრივარ ადამიანს, რომელმაც ცხოვრების მანძილზე ამხელა ტრაგედია გადაიტანა და მაინც მხნე და ომახიანი დარჩა. შენ შეგეძლო დიდი მეგობრობა და სიყვარული, შენ შეგეძლო გასაჭირში მყოფთა გამხნევება.

დიდხანს, ძალიან დიდხანს იღწვოდი შენი ავტორიტეტით და განათლების სისტემის, კერძოდ კი, როგორც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ერთ-ერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელი და კურატორი.მაინც რა არის ცხოვრება. ახლა შენზე წარსულ დროში უნდა ვისაუბროთ. გვჯერა, რომ დღეის ამას იქით, ქუჩაში ვეღარ დავინახავთ ადამიანს, რომელიც თავისი შინაგანი კულტურით, მეტყველების დახვეწილი მანერით ამახსოვრებდა ყველას თავს.

უნებლიედ მოსული ერთი აზრი გვანუგეშებს მხოლოდ. შენ ამ ქვეყნიდან ვარდობისთვეში წახვედი (თუმცა შენი წასვლის დღეს დიდი წვიმა იყო, რასაც ბუნების უდიდეს მწუხარებად მივიჩნევთ), თან გაგყვა ვარდის სურნელი, ჩიტების უნაზესი ხმები და ათასფრად მორთული ბაღების სილამაზე, რაც მარადისობის პოეზიად და მუსიკად ითვლება.

მსუბუქი იყოს ჩვენი გარეჯის მიწა შენს გულზე, ჩვენო საყვარელო ლუიზა.

ჩვენო დიდო მეგობარო, საქართველოს სულეთში ბევრი ჩვენი საერთო მეგობარი დაგხვდება– ბ-ნი ნუგზარი, ქ-ნები მაგული, ლამარა, დარეჯანი, და კიდევ ვინ არა, ვინც თავის დროზე შენსავით დაგვწყვიტა გული..

გჯეროდეს ეს სტრიქონები ცრემლით იწერება, ცრემლით, რომელიც თავისთავად დიდი სიყვარულის ნიშანია.

უღრმესი პატივისცემით

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირის საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის სახელით რომან ზუკაკიშვილი, გეჭან სურმანიძე, ნელი ბროლაშვილი

ლუიზა ქიტოშვილი-ჩალათაშვილი

გაზაფხულის მახარობელ, ია-იებით მოსულ თვეს შეუსრულდა 75 წელი...

გაზეთის ფურცლებიდან მივულოცეთ... გაიხარა... ხალისი მოემატა, უფრო მეტი ვარდი დარგო ეზოში, უფრო მეტი ყვავილის თესლი დათესა... დაფუსფუსებდა, დაჰხაროდა თავისი ხელით ნალოლიავებ ბოსტნეულს...

რაღაცნაირი სიყვარულით უყვარდა მიწასთან მუშაობა.

შვილიშვილებს თავისი მოყვანილი ბოსტნეულით უმასპინძლდებოდა – სხვანაირი სურნელი აქვს, ქალაქში მცხოვრებთ სოფელს მოგანატრებთო...

ვარდობისთვეში უღონოდ შეიქნა. სულ რამდენიმე დღე მიეჯაჭვა საწოლს... ფიქრებთან განმარტოვდა...

და როცა მის ეზოში ვარდები გაგიუებით ყვაოდნენ, სულეთის დიდ, უზარმაზარ ქვეყანას შეუერთდა ქალბატონი, უფრო სწორედ თუ ვიტყვით, ჩემთვის, შენთვის, საერთოდ ჩვენთვის სულით უტეხი, სიძნელეებთან ვაჟკაცური შემართებით მებრძოლი – ლუიზა ქიტოშვილი. შეუერთდა იმქვეყნიურ სამყაროს, სადაც მისი სულის ნაწილი, მისი სისხლი და ხორცი, უდროოდ წასული, მომმის ხელით სიცოცხლეშემოკლებული რამაზი 20 წელია მუდმივ ბინადრად ქცეულა, – სადაც მისი მეუღლე საგარეჯოელებისათვის ცნობილი პიროვნება – ელგუჯა ჩალათაშვილია...

ორმოცდაათ წელზე მეტი საგარეჯოს რაიონს მთელი თავისი შეგნებული ცხოვრებით ისე ემსახურა, მაგალითად კიდევ დიდხანს რომ დარჩება მის მიერ განვლილი ცხოვრება. თავისი შრომითი საქმიანობა ჯერ საგარეჯოს პიონერთა სახლის დირექტორობით დაიწყო, შემდეგ კი რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მეთოდისტ-ინსპექტორად იმუშავა. ეს იყო წლები, როცა ჩვენი რაიონი რეგიონსა და ქვეყანაში კი არა, საკავშირო მნიშვნელობის კონკურსებში გამარჯვებული გამოდიოდა... იყო გაჭირვების წლები – უშუქობის, უსახსრობის. ქვეყნის მასშტაბით დაიხურა სკოლები, საბავშვო ბაღები, საგარეჯოში კი სწორედ ქალბატონი ლუიზას ძალისხმევით არ დახურულა არც ერთი საბავშვო ბაღი. ეს მართლაც ვაჟკაცობის, გმირობის ტოლფასი იყო – გვერდში ამოიყენა ოჯახი, მეგობრები, ნაცნობები და ბავშვებს არ მოაკლო რძის პროდუქტები, ცხიმი, სითბო...

ყოველთვის ახლის ძიებით, ინოვაციური მეთოდების საბავშვო ბაღებში დანერგვით იყო დაკავებული. სწორედ მისი უშუალო ჩარევით მოხდა პოლონეთის არასამთავრობო ორგანიზაციასთან მეგობრული ურთიერთობის აწყობა, რამაც სათამაშოები, ავეჯი, გასართობი მოწყობილობები შემატა ჩვენს საბავშვო ბაღებს.

დაუსრულებლად შეიძლება მასზე საუბარი როგორც ქალზე, პიროვნებაზე, შემოქმედზე... დედობაც საოცარი ჰქონდა... რკინის ქალამნებით, რკინის ჯოხით მიაღწია სიმართლეს – უდანაშაულო მიცვალებულს სამართალი გაუჩინა.

არასოდეს შურდა სხვისი, არასოდეს ჰქონია სხვის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება. პირიქით, მთელი თავისი გულით ედგა გვერდში ყველას ჭირსა თუ ლხინში. გაჭირვებულის ხელისგამმართავმა, შიშველის შემმოსველმა, მშიერის დამპურებელმა ასევე გაზარდა შვილებიც, ადამიანური ღირსებები უსაგზლა. თუ ვინმე შვილების საქველმოქმედო საქმეებზე მადლობას ეტყოდა, უბრალოდ აუხსნიდა, რომ ყველა ქართველის ვალი ერთმანეთის დახმარება, ხელის შეშველებაა. მაგრამ ეს მისთვის იყო უბრალო, თორემ ახლა, როცა დეფიციტია კეთილი საქმე, თბილი სიტყვა, ღვთივსათნო მოპყრობა, თვალსაჩინოდ ჩანს მისი პირმშოს, საგარეჯოელებისათვის საყვარელი პიროვნების ექიმ გია ჩალათაშვილის პიროვნებად ფორმირებაში მართლმადიდებელი ქრისტიანი მშობლებისეული აღზრდის ხელწერა... ეს მის შვილიშვილებში ლუიზა, გუჯა, ნუცა, ლიკუნა ჩალათაშვილებშიცაა...

თითქოს მხოლოდ მამაკაცებზე შეგვიძლია ვთქვათ – ვალმოხდილიო, მაგრამ ქალბატონ ლუიზას წინაშე ჩვენ – საგარეჯოელები მართლა ვალში ვართ – ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან და წავიდა იქ, სადაც მართალნი განისვენებენ, მართალნი – სიყვარულით, კაცთამოდგმის მიმართ სიყვარულის დიდი გრძნობით სავსე ადამიანები...

იმ დღეს ბუნებამაც ხანგრძლივი, გადაუდებელი წვიმის წვეთებით დაიტირა ღირსეული ადამიანი.

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, მსუბუქი იყოს მის გულზე საგარეჯოს მიწა...

თინა ილაური

სუდოკუ

მარტივი

	8	7		1	3			
		2	9			5	8	1
			6					3
		3		2	1	7	9	
7				9				6
	2	1	4	6		8		
2					9			
3	1	9			8	6		
			1	5		3	2	

საშუალო

	7		1	2		8		
2			5					9
					7		5	2
				5	2	3		1
	2	9				6	8	
5		7	8	1				
7	9		6					
4					9			3
		8		4	5		9	

რთული

	1		6			5		
	5			7				9
		4			1	6	8	
4					7		2	
				3				
	2		9					6
	4	5	8			2		
9				2			5	
		8			4		7	

„ბარეჯის მაცნე“ №9-ში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

1	7	6	4	8	9	2	5	3
9	8	3	5	2	1	7	8	6
4	5	2	3	6	7	9	8	1
3	1	7	9	5	4	6	2	8
8	9	5	2	7	6	3	1	4
2	6	4	8	1	3	5	7	9
5	4	9	7	3	8	1	6	2
6	2	8	1	9	5	4	3	7
7	3	1	6	4	2	8	9	5

1	5	3	9	2	4	6	8	7
8	6	9	5	3	7	1	4	2
4	7	2	1	6	8	3	9	5
5	4	7	6	1	2	8	3	9
2	9	8	7	4	3	5	1	6
3	1	6	8	5	9	7	2	4
9	3	5	2	7	1	4	6	8
6	2	1	4	8	5	9	7	3
7	8	4	3	9	6	2	5	1

6	1	4	3	9	5	2	7	8
2	9	3	8	7	1	4	6	5
5	8	7	4	6	2	9	1	3
7	2	1	6	8	3	5	9	4
8	6	5	9	2	4	1	3	7
4	3	9	1	5	7	6	8	2
9	4	8	5	3	6	7	2	1
3	5	2	7	1	9	8	4	6
1	7	6	2	4	8	3	5	9

საგარეჯოს კოლეჯი 16 წლისაა

ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულება, პროფესიული კოლეჯი, დღეისათვის მრავალმხრივ მიმზიდველი სასწავლო დაწესებულებაა.

იგი ავტორიზებულია, რაც ნიშნავს, რომ კოლეჯი გასცემს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიულ დიპლომს.

დიპლომთან ერთად კურსდამთავრებულს შეუძლია აიღოს მონათესავე სპეციალობაში ავტორიზებული კოლეჯის სერთიფიკატი, რაც ხშირად დასაქმების დროს მეორე დიპლომს უდრის.

ავტორიზებული სპეციალობებია:

1. ბუღალტერია – სწავლების ვადა – 1 წელი

2. კომპიუტერული სისტემები და ქსელები – სწავლების ვადა – 1 წელი

3. ოფისის მენეჯერი – სწავლების ვადა – 2 წელი

4. ექთნის თანაშემწე – სწავლების ვადა – 2 წელი

5. ბუღალტერია /მოდულური პროგრამა/ – სწავლების ვადა – 2 წელი.

მოდულურ პროგრამაზე სწავლა მიმდინარეობს მხოლოდ კომპიუტერით, დასაქმება კი გარანტირებულია.

ყველა ეს სპეციალობა III საფეხურის პროფესიებია.

ყველა სპეციალობაზე მიიღებიან, როგორც 9 კლასის ისე 12 კლასდამთავრებული აბიტურიენტები, მათზე გაიცემა, როგორც სახელმწიფო პროფესიული დიპლომები, აგრეთვე სერთიფიკატები: – კომპიუტერის საოფისე პროგრამების (ვორდი, ექსელი, პოვერპოინტი), ბანკის ოპერატორის, ფარმაცევტის თანაშემწის, ბაგა – ბაღის აღმზრდელის, პრაქტიკოსი ექთნის და სხვა. ამ დიპლომებით და სერთიფიკატებით კურსდამთავრებულთა 70% დღეს დასაქმებულია საგარეჯოს ბანკებში, აფთიაქებში, საბავშვო ბაღებში, საავადმყოფოებში, ქსელების სპეციალობის კურსდამთავრებულები კი შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში საქმდებიან.

„ჯეოჰოსპიტალსის" საავადმყოფო და კლინიკა „Life" კოლეჯის საწარმოო პრაქტიკის ობიექტებია და იქ უამრავი კურსდამთავრებული უკვე მუშაობს.

სასწავლო პროცესი კოლეჯში გამართულია, სტუდენტებს ემსახურება კარგი ინფრასტრუქტურა, გამართული აუდიტორიები, კაბინეტები, კომპიუტერული ლაბორატორიები, სამედიცინო, ბუღალტერიის, მენეჯერის კაბინეტები. შენობაში არის გათბობა და განათება. კოლეჯი მთლიანად აკმაყოფილებს სახელმწიფო სტანდარტებს.

კოლეჯს სამომავლოდ დიდი გეგმები აქვს. მომდევნო წლისთვის ჩვენ განვახორციელებთ IV და V საფეხურის პროფესიულ პროგრამებს და გავცემთ „უმაღლეს პროფესიულ დიპლომს". ეს სპეციალობებია: ფარმაცევტის თნაშემწე, პრაქტიკოსი ექთანი, ბაგა – ბაღის აღმზრდელი პედაგოგი, გარემოს დაცვის ტექნიკოსი.

კოლეჯი გათვლილია 150 სტუდენტზე. მომდევნო წლიდან ფუნქციონირებას დაიწყებს რვა სპეციალობა ანუ 16 სასწავლო ჯგუფი ნაცვლად შვიდი ჯგუფისა, რომელიც დღეს მუშაობს. IV და V საფეხურზე მიიღებიან მხოლოდ 12 კლასდამთავრებული ახალგაზრდები, რომლებიც აიღებენ უმაღლეს პროფესიულ დიპლომს.

საგარეჯოს პროფესიული კოლეჯი საზოგადოებრივ კოლეჯად გადაიქცევა.

მომდევნო, 2017 წლიდან კოლეჯი მიიღებს 9 კლასდამთავრებულ ახალგაზრდებს, რომლებიც გაივლიან, როგორც საშუალო სკოლის აგრეთვე პროფესიულ პროგრამებს სასურველ სპეციალობებში. მათზე გაიცემა საშუალო განათლების ატესტატიც და სახელმწიფო დიპლომიც. მათ შესაძლებლობა ექნებათ უკვე სწავლა გააგრძელონ ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში, საზოგადოებრივ და პროფესიულ კოლეჯებში.

კოლეჯში იწყება მოდულური პროგრამების დანერგვაც.

წელს კოლეჯის სტუდენტები ევროპულ მოდულურ განათლებას ეზიარებიან. განათლების ეს მოდელი პირველად ბუღალტერიაზე განხორციელდება.

მომდევნო წლიდან დაინერგება, აგრეთვე გერმანული დუალური სისტემაც, რაც ითვალისწინებს სწავლასაც და უეჭველ დასაქმებასაც.

საგარეჯოს კოლეჯი საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში კარგი ავტორიტეტით სარგებლობს, იგი არის კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრი კოლეჯი და ეს მატებს მას დიდ იმიჯს და გზას უხსნის დამსაქმებელთა და ექთანთა ასოციაციებისკენ. ეს კი დასაქმების დიდი გარანტიაა.

კოლეჯში ტარდება სტუდენტური შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებები, ექსკურსიები, რაც სტუდენტების სწავლას და შრომას სასიამოვნოს, საინტერესოს ხდის.

კოლეჯის საგანძურია საუკეთესო შრომითი კოლექტივი, გულისხმიერი, მცოდნე, პატრიოტი, სტუდენტებზე შეყვარებული და მაფიქრალი პედაგოგები და ტექნიკური თანამშრომლები.

საგარეჯოს კოლეჯი წელს ახალ შევსებას ელოდება, რომ ახალი იმედებით აღსავსე პროფესიული სპეციალისტები მოამზადოს. ეს კი ახალი საქართველოა, ყველა ჩვენთაგანის ნათელი მომავალი.

ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულების დირექცია

გილოცავ

დაბადების დღეს ვულოცავთ მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს სოფელ ნინოწმინდაში, კარგი შვილების დედას, უღალატო მეგობარს, სოფელზე მზრუნველსა და გასაჭირში გაჭირვებულის ხელის შემშველებელს **თამარ ბარსეგანიძე-სუხიაშვილს.**

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს და სიხარულს თავის ლამაზ ოჯახთან ერთად.

ნანა ტაველიშვილი, ანა ყაჯრიშვილი, თინა ილაური

მადლობა

მადლობას ვუხდი იორმუღანლოს ადვოკატურის ადვოკატს, სამეგრელოს ულამაზესი წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფუში დაბადებულ და აღზრდილ, საქართველოს კოლორიტ პიროვნებას ბ-ნ **ბოჩა კვარაცხელიას,** რომელიც ყველაზე დიდი გასაჭირისა და განსაცდელის დროს დაუდგა ჩემს მრავალშვილიან ოჯახს გვერდით თავისი ნიჭიერებით, გამჭრიახობითა და მდიდარი ადამიანური ღირსებებით. ჩემმა შვილმა ცისკარი გაბრელაშვილმა სიყვარულით, ორმხრივი თანხმობით ცოლად შეირთო არასრულწლოვანი, რომლის გამოც საქართველოს კანონმდებლობით 9 წლიანი ციხე ემუქრებოდა. სწორედ ბ-ნ გოჩას პროფესიონალიზმმა, მისმა უანგარო შრომამ გადაარჩინა ჩემი შვილი ამ პატიმრობას და მხოლოდ სამწლიანი პირობითი სასჯელი დაეკისრა. დღეს წალენჯიხა ამაყობს ბ-ნი გოჩასნაირი პატრიოტი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ქართველებით. მან, მისმა მშობლებმა და მისმა თანაქალაქელებმა რამინ ჩიქობავამ, ოთარ კალანდიამ ყველაზე მძიმე პერიოდში სიცოცხლის ფასად დაიცვეს მშობლიური ქალაქი. ნათელში ამყოფოს ღმერთმა ბ-ნი გოჩას მშობლები. მადლობა მათ ასეთი კარგი შვილის აღზრდისათვის.

თამარ (ქეთევან) კალანდია-გაბრელაშვილი

7 შვილის დედა სოფელ მზისგულიდან

თინა ილაური, თამუნა და ნინო შალვაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ გია ჩალათაშვილსა და თინიკო დოლიძეს დედისა და დედამთილის

ლუიზა ქიტოშვილი-ჩალათაშვილის

გარდაცვალების გამო.

გილოცავთ სასწავლებლად!

ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში განახლდა აბიტურიენტთა მიღება 2015-2016 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ბუღალტერია

2. ოფისის მენეჯერი

3. ექთნის თანაშემწე

4.კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი

კოლეჯი გასცემს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიულ დიპლომს.

სასწავლებელში მუშაობს კომპიუტერული კურსები (საოფისე პროგრამები), რომელიც შედის სწავლის საფასურში. გაიცემა კომპიუტერის სერთიფიკატი.

სწავლა შესაძლებელია წარმოებიდან მოუწყვეტლადაც, ამისათვის მუშაობს მოქნილი ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკი.

კოლეჯში მუშაობს სხვადასხვა მიმართულების განმავითარებელი პროგრამა, რომელზედაც სასწავლებელი გასცემს სერთიფიკატს.

რობორეგიცია:

1. ბაგა–ბაღის აღმზრდელი

2. ბანკის ოპერატორი

3. ფარმაცევტის თანაშემწე

4. პრაქტიკოსი ექთანი

5. უცხო ენის პრაქტიკული გამოყენების კურსი

6. ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული კურსი Oris –ის პროგრამა

7. აბიტურიენტთა მომზადების კურსი (შეთანხმებული ფასებით).

8. სხვა სასურველი სასწავლო კურსი მსმენელისათვის საჭირო პროგრამის მიხედვით.

ყველა აბიტურიენტისათვის და ნებისმიერი მსურველისათვის შესაძლებელია სასურველი სასერთიფიკატო პროგრამის შესწავლა და შესაბამისი სერთიფიკატის აღება. ამისათვის კოლეჯში მუდმივად მუშაობს სპეციალისტ–პროგრამისტთა ჯგუფი.

საგარეჯოს ავტორიზებული პროფესიული კოლეჯის მიერ გაცემული ორი ლეგიტიმური დოკუმენტი – სახელმწიფო პროფესიული დიპლომი და კოლეჯის გერბითა და ბეჭდით დამოწმებული სერთიფიკატი – ორი პროფესიული სპეციალობის აღიარების დამადასტურებელია.

სასწავლებელში სწავლის მსურველმა აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება კოლეჯის დირექტორის სახელზე.

2. საბაზო ან საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. პირადობის მოწმობის ასლი.

4. ორი ფოტოსურათი 3X4

საბუთების მიღება მიმდინარეობს.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ–გვერდი: www.iliaedu.ge

E-mail: iliasagarejo@gmail.com

T 995(351) 24-24-36; 555 513-228; 598 65-08-49

მისამართი: ქ. საგარეჯო ლეონიძის ქ33ა

„გარეჯის მაცნეს" გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე"

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში" დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში".

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru